



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030497819110918

№ 04-165/ო

14 / მარტი / 2018 წ.

„ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ „ჩამანაცვლებელი პროდუქტის შესყიდვის“ კომპონენტის ფარგლებში გამოსაყენებელი ხარჯთაღრიცხვის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ (დანართი N10) სახელმწიფო პროგრამის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 13 მარტის N01/14231 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის „ჩამანაცვლებელი პროდუქტის შესყიდვის“ კომპონენტის (შემდგომში – კომპონენტი) ფარგლებში, დამტკიცდეს ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ყოველთვიური ხარჯვის თანდართული ფორმა (იხ. დანართი).

2. კომპონენტის მიმწოდებელმა სამედიცინო დაწესებულებამ უზრუნველყოს:

ა) ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის ყოველთვიური წარდგენა სააგენტოში ამ ბრძანების დანართით დამტკიცებული ფორმით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა;

ბ) 2018 წლის იანვრის და თებერვლის თვეების ამ ბრძანების დანართის მიხედვით შევსებული ინფორმაციის წარდგენა არაუგვიანეს 2018 წლის 10 აპრილისა.

3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (ვ. ჩხარტიშვილი):

ა.ა) კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მისთვის კონსულტაციის გაწევა;

ა.ბ) ბრძანების შესრულების კოორდინაცია;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ყოველთვიური ხარჯვის ფორმა

დაწესებულების დასახელება:

დაწესებულების მისამართი:

ანგარიშგების თვე, წელი:

N	მედიკამენტის დასახელება	საწყისი ნაშთი საანგარიშო პერიოდში *	შემოსავალი საანგარიშო პერიოდში*	საანგარიშო პერიოდში გაცემული რაოდენობა ბენეფიციარზე*	საანგარიშო პერიოდში ფლაკონებში დაფიქსირებული მოცულობითი მეტობა **	ბენეფიციარი (განყოფილება)	ბენეფიციარი (სტუმარი)	ბენეფიციარი სულ	საბოლოო ნაშთი (მათ შორის მეტობა)
1									
2									

შენიშვნა:

1 * – სამკურნალო საშუალება აღირიცხება მილილიტრებში/ტაბლეტებში

2 ** – ეხება მეტადონის ჰიდროქლორიდს

3 აღირიცხება როგორც სამარაგოში, ასევე საპროცედუროში არსებული ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალება

დაწესებულების ხელმძღვანელი

თარიღი:

ბ.ა